

**შპს გამა კონსალტინგი  
(ს/კ 404889714)**


**ფინანსური ანგარიშგება**

**2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**შპს გამა კონსალტინგი**  
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**  
**2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.**

|                                                                                             | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|---------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------|------------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                             |                           |                        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                                                 | 7,726                     | 275,094                |
| სავაჭრო მოთხოვნები                                                                          | 221,582                   | 215,675                |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი                                         | 32,547                    | 21,604                 |
| მარაგები                                                                                    | 16,321                    | 17,798                 |
| - მზა პროდუქცია                                                                             | -                         | -                      |
| - სხვა                                                                                      | 16,321                    | 17,798                 |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                                                     | 60,626                    | 113,201                |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 4,522                     | 5,320                  |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 752,834                   | 828,679                |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                         | <b>1,096,158</b>          | <b>1,477,371</b>       |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |                           |                        |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება                                                                | -                         | -                      |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 271,435                   | 305,012                |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | -                         | 135,502                |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | -                         | -                      |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                  | 1,822,516                 | 1,856,670              |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                                                             | -                         | 211,157                |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                                                          | 1,042,929                 | 560,605                |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 82,687                    | 56,089                 |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                    | <b>3,219,567</b>          | <b>3,125,035</b>       |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |                           |                        |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') |                           |                        |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                               | (2,123,409)               | (1,647,664)            |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                | <b>(2,123,409)</b>        | <b>(1,647,664)</b>     |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                               | <b>1,096,158</b>          | <b>1,477,371</b>       |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                                                            | <b>338,802</b>            | <b>643,372</b>         |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                                       | <b>2,176,673</b>          | <b>2,563,430</b>       |

ხელმოწერი პირები

დირექტორი:  ზურაბ მგალობლიშვილი

30 სექტემბერი, 2025  
 თბილისი, საქართველო

ბუღალტერი:  ნაზი ინასარიძე

30 სექტემბერი, 2025  
 თბილისი, საქართველო

## შპს გამა კონსალტინგი

მოგება-ზარალის ანგარიშგება; კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

|                                                                               | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|-------------------------------------------------------------------------------|------------------------|------------------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                                         | <b>2,782,523</b>       | <b>3,485,293</b>       |
| მომსახურების გაწევიდან                                                        | 2,782,523              | 3,485,293              |
| სხვა                                                                          | -                      | -                      |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                     | (793,830)              | (401,780)              |
| <b>საერთო მოგება</b>                                                          | <b>1,988,693</b>       | <b>3,083,513</b>       |
| სხვა შემოსავალი                                                               |                        | -                      |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                      | (2,004,683)            | (1,844,904)            |
| ცვტა და ამორტიზაცია                                                           | (64,982)               | (78,165)               |
| საპროცენტო შემოსავალი                                                         |                        | -                      |
| საპროცენტო ხარჯი                                                              | (132,026)              | (124,273)              |
| იჯარის ხარჯი                                                                  |                        | -                      |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                      | (248,300)              | (893,489)              |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                 | <b>(2,449,991)</b>     | <b>(2,940,832)</b>     |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                      | <b>(461,298)</b>       | <b>142,682</b>         |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                       | (16,968)               | (7,015)                |
| <b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</b> | <b>(478,266)</b>       | <b>135,667</b>         |
| მოგების გადასახადი                                                            |                        | -                      |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)                                        | (478,266)              | 135,667                |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)</b>                                    | <b>(478,266)</b>       | <b>135,667</b>         |
| კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)                               | (1,647,664)            | (1,776,622)            |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                         | 2,521                  | (6,709)                |
| <b>კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                                  | <b>(2,123,409)</b>     | <b>(1,647,664)</b>     |

ხელმომწერი პირები

დირექტორი: ზურაბ გალობლიშვილი

ბუღალტერი: ნაზი ინასარიძე

30 სექტემბერი, 2025  
თბილისი, საქართველო


30 სექტემბერი, 2025  
თბილისი, საქართველო

**შპს გამა კონსალტინგი**  
**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**  
**2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;**

|                                                                              | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|------------------------------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობა</b>                                                 |                           |                           |
| მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები                                     | 3,142,123                 | 3,533,789                 |
| მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები                 | (2,591,226)               | (2,441,081)               |
| სხვა                                                                         | (40,106)                  | (22,056)                  |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები</b>                     | <b>510,791</b>            | <b>1,070,652</b>          |
| გადახდილი გადასახადები                                                       | (917,165)                 | (999,258)                 |
| <b>ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                         | <b>(406,374)</b>          | <b>71,394</b>             |
| <b>საინვესტიციო საქმიანობა</b>                                               |                           |                           |
| ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის | (830)                     | (7,992)                   |
| მიღებული პროცენტი                                                            |                           | -                         |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები</b>           | <b>(830)</b>              | <b>(7,992)</b>            |
| <b>საფინანსო საქმიანობა</b>                                                  |                           |                           |
| ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებად                               | -                         | -                         |
| ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან                                         | 869,990                   | 1,236,100                 |
| სესხის ძირის გადახდა                                                         | (598,939)                 | (1,084,288)               |
| სესხის პროცენტის გადახდა                                                     | (131,215)                 | (108,513)                 |
| <b>ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>                          | <b>139,836</b>            | <b>43,299</b>             |
| <b>ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში</b>          | <b>(267,368)</b>          | <b>106,701</b>            |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის                                         | 275,094                   | 168,393                   |
| <b>ფულადი სახსრები წლის ბოლოს</b>                                            | <b>7,726</b>              | <b>275,094</b>            |

ხელმომწერი პირები

  
 დირექტორი: ზურაბ მგალობლიშვილი

  
 ბუღალტერი: ნაზი ინასარიძე

30 სექტემბერი, 2025  
 თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2025  
 თბილისი, საქართველო

## შპს გამა კონსალტინგი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სააღრიცხვო პოლიტიკა, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გამა კონსალტინგი“ (ს/კ 404889714) რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. თბილისი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობის სფეროა - კვლევითი და გარემოსდაცვითი საქმიანობის ფარგლებში შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.

საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად 2018 წელს გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი მეხუთე ფინანსური ანგარიშგება. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

#### ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

#### სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი

## შპს გამა კონსალტინგი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

### სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

### სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- |                             |      |
|-----------------------------|------|
| - შენობა ნაგებობები         | -5 % |
| - საოფისე აღჭურვილობა       | -20% |
| - ავეჯი და მოწყობილობები    | -20% |
| - სატრანსპორტო საშუალებები  | -20% |
| - სხვა ძირითადი საშუალებები | -5%  |

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

## შპს გამა კონსალტინგი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

### მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

### იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

### დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო

## შპს გამა კონსალტინგი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება.

### მოგების გადასახადი

საწარმო გადასულია მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე 2017 წლის 1 იანვრიდან. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთის დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

  
დირექტორი: ზურაბ მგალობლიშვილი

30 სექტემბერი, 2025

  
ბუღალტერი: ნაზი ინასარიძე

30 სექტემბერი, 2025